

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 30 აპრილი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

2. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილებას ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით სააპელაციო სასამართლოებშიც.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

3. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშის განხილვა

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე
--------------	--

4. სასამართლოში საქმეთა გადატვირთულობის თაობაზე CEPEJ-ს სტანდარტები

- განიხილება CEPEJ-ს სტანდარტები საქმეთა გადატვირთულობის თაობაზე, ასევე, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სამსახურის მიერ მომზადებული სტატისტიკური ინფორმაცია რაიონულ/საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში 2015-2017 წლებში საქმეთა რაოდენობის თაობაზე.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე
--------------	--

5. მოსამართლეთა განცხადებები გამოსაცდელი ვადის შეწყვეტისა და უვადოდ გამწესების თაობაზე

- წარდგენილ იქნება ინფორმაცია მოსამართლეთა ლ. გურგუჩიანის, თ. ძიმისტარაშვილის, ნ. დარასელიას, ა. ესოიანის, მ. კაპანაძის, ლ. მიქავას, ა. ოგანესიანის, თ. სვანიძის, გ. ქირიას და მ. სირაძის მონაცემების შესაბამისობის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 79^ა მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

6. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს შტატით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ თანამდებობად გარდაქმნას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

7. კანონპროექტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ნებისმიერ, მათ შორის მართლმსაჯულების სფეროში, მომსახურებისა და სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას და ამ მიზნით კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

8. კანონპროექტი - "სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ" ჰააგის 1965 წლის კონვენცია, "სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ" ჰააგის 1970 წლის კონვენცია, "სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

- პროექტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ უწყების საზღვარგარეთ გაგზავნის წესს, ასევე დამატებით ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის კიდევ ერთ საფუძველს.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

9. კანონპროექტები - „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების აღმოფხვრას, მათ შორის, ცვლილებებს არასრულწლოვანი მოწმის უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	---

10. გადაწყვეტილების პროექტი - „სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ბიუჯეტის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს სსიპ -საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბიუჯეტის განწერაში ცვლილებას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	---